საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ქ. თბილისი 4 თებერვალი 2013 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის ჩატარების მიზნით მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის N170 ბრძანებით შექმნილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N3

სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

1. **სოზარ სუბარი** - მინისტრი;

კომისიის წევრები:

2. **გრიგოლ გიორგაძე** - მინისტრის პირველი მოადგილე;
3. **არჩილ თალაკვაძე** - მინისტრის მოადგილე;
4. **სოფიო ჯაფარიძე** - მინისტრის მოადგილე;
5. **ამირან ჯებისაშვილი** - ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;
6. **გიორგი გორაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
7. **შალვა ჯულაყიძე** - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
8. **გიორგი ჩხენკელი** - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

9. **ნინო კონჯარია** - ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი (სხდომის მდივანი).

დღის წესრიგი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ, 2013 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში **სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების** შესყიდვის კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

მოისმინეს:

შ. ჯულაყიძემ მოახსენა კონკურსის კომისიის წევრებს რომ, 2013 წლის 1 თებერვალს **სამინისტროს შენობის ახალი გეგმარებითი სტრუქტურის და არქიტექტურული გარე სახის შექმნის ესკიზური პროექტის და სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების** შესყიდვის **კონკურსში** დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სამმა კომპანიამ: **შპს „ოპტიმუსიმა“, შპს „გეომეფმა“** და **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტმა.**

განიხილეს:
კომისიის წევრებმა განიხილეს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების, არქიტექტურული კონცეფციები და საკვალიფიკაციო მონაცენების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა დადგენილ წესთან.

- **შპს „ოპტიმუსის"** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების, არქიტექტურილი კონცეფციისა და საკვალიფიკაცო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მიმართ კომისიის წევრებს შენიშვნა არ გააჩნიათ.
- **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების, არქიტექტურული კონცეფციისა და საკვალიფიკაცო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მიმართ კომისიის წევრებს შენიშვნა არ გააჩნიათ;
- **შპს „გეომეფის"** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებისა და საკვალიფიკაცო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მიმართ კომისიის წევრებს შენიშვნა არ გააჩნიათ, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული არქიტექტურული კონცეფცია არა დამახასიათებელია და შესაბამისად მიუღებელია სამინისტროს ადმინისტრაციული შენობისათვის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ს. სუბარმა მიმართა დამსწრეებს რომ, უმჯობესი იქნება თუ **შპს „ოპტიმუსი"** და **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტი** მოწვეულები იქნებიან ზეპირ ვაჭრობაზე, ხოლო **შპს „გეომეფის"** არქიტექტურული კონცეფცია არ შეესაბამება სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სპეციფიკას შესაბამისად მისი განხილვა როგორც ერთ-ერთი საკონკურსო წინადადების არამიზანშეწონილია.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

დაადგინეს:
1. **შპს „გეომეფის"** საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულია არქიტექტურულ კონცეფციასთან შეუსაბამობის გამო.
2. პრეტენედენტები **შპს „ოპტიმუსი"** და **ინდ. მეწარმე გიორგი ღლონტი** მოწვეულ იქნენ ზეპირ ვაჭრობაზე, რომელიც ჩატარდება **2013 წლის 5 თებერვლის 18:00 საათის** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი ალ. ყაზგების გამზ. N42, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში.**
3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს წერილობითი შეტყობინების გაგზავნა პრეტენდენტებისათვის ზეპირი ვაჭრობაზე მოწვევის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:
1. სოზარ სუბარი ----------

კომისიის წევრები:
2. გრიგოლ გიორგაძე ----------
3. არჩილ თალაკვაძე ----------
4. სოფიო ჯაფარიძე ----------
5. ამირან ჯებისაშვილი ----------
6. გიორგი გორაძე ----------
7. შალვა ჯულაყიძე ----------

8. გიორგი ჩხენკელი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

9. ნინო კონჯარია